ხაშურის მოამბე

№23 (54) 20 ივნისი, ორშაბათი, 2016 წელი

დაათვალიერეს გზების მშენებლობა

ქ. ხაშურში, რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარე აგარა–ჯორჯაძის გზის ასფალტირების სამუშაოები გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა, იოსებ ოქრომელიძემ, გუბერნატორის მოადგილემ, ამირან შავშიშვილმა და ხაშურის გამგებელმა, გიორგი გურასპაშვილმა მოინახულეს.

ამ ეტაპზე, გზის ასფალტირების სამუშაოების 30% დასრულებულია. პროექტის ფარგლებში სულ გათვალისწინებულია 1600 მეტრი სიგრძის გზის ასფალტირება. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად 3000 მაცხოვრებელს გაუადვილდება გადაადგილება, განიტვირთება საგზაო მოძრაობა და გალამაზდება ქალაქის იერსახე. სამუშაოებს ასრულებს შპს „გეკა“. პროექტის სამუშაოების დასრულება ამ თვის ბოლოსთვისაა ნავარაუდევი.

სურამელ პატარებს განახლებული საბავშვო ბაღი დახვდებათ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, დაბა სურამში, №9 საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნულ შენობაში, გასულ წელს, გათბობის და წყლის სისტემები მოწესრიგდა, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, ამჯერად კი საბავშვო ბაღის შენობას სრული რეაბილიტაცია უტარდება.

სამუშაოებს, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „იმგო“ ასრულებს.

სურათზე: საბავშვო ბაღი ასეთ სახეს მიიღებს.

ტერორი კანონის სახელით ანუ რა დღეში ჩააგდო გამაცაცოებულმა და შემდეგ გადმომაცაცოებულმა შარლატანმა საჯარო სკოლები

სიცრუე ერთ-ერთი იმ ცოდვათაგანია, რომელიც ბიბლიურ ათ ყველაზე დამამძიმებელ ცოდვებში გადის. რა თქმა უნდა, შემოქმედმა შემთხვევით არ „უანდერძა, კაცობრიობას ამ ქმედების უარყოფა, რადგან, სუცრუეს, როგორც ასეთს, შეუძლია ძალიან მძიმე შედეგები მოიტანოს. სიცრუე შეიძლება კატეგორიებადაც დაიყოს. არსებობს ტყუილი, რომელიც ძალიან მსუბუქ ხასიათს ატარებს და იუმორთანაა წილნარევი; არსებობს ტყუილი, რომელიც შემთხვევითაა წამოსროლილი და ზოგჯერ მის გამავრცელებელს არცკი წარმოუდგენია, რომ ცრუობს. მოკლედ, ათეულობით ასეთი „სახეობა“ შეიძლება ჩამოითვალოს. ჩვენ დღეს ერთ-ერთ ძალზე გავრცელებულ „კატეგორიაზე“ შევჩერდებით, ტყუილზე, როდესაც მისი მთქმელი, ანუ მთავარი სუბიექტი, ამ სიცრუის საბოლოო შედეგიდან ფინანსურ და მატერიალურ კეთილდღეობას ელის. ამ ქმედებას კანონის ენაზე თაღლითობა და შარლატანობა, ხალხში უფრო გავრცელებული ტერმინოლოგიით კი აფერისტობა ჰქვია. ძალიან გამიგრძელდა მთავარ სათქმელზე გადასვლა, მაგრამ ამ თაღლითობაზეც უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა: თაღლითობა ათასგვარია და ყველაზე გავრცელებული ფორმის მიხედვით ერთი ნამუსგარეცხილი სუბიექტი მეორე „ბოთეს“ ათასგვარი ხრიკებით და მშვენიერი სამსახიობო ხელოვნებით სხვადასხვა „კუკლიებს“ უგდებს ფეხქვეშ და შედეგიც, უმრავლეს შემთხვევაში, ერთი დგება: მშრალზე დარჩენილი და მოტყუებული მოქალაქე. თაღლითობის „მწვერვალი“ კი ისაა, როდესაც ეს ნამუსგარეცხილი შარლატანი „დასამუშავებელ“ ობიექტს კანონის სახელით ატერორებს. ასეთი დახელოვნებული აფერისტები სწორედ კანონში ეძებენ რაღაც ლაფსუსებს, პოულობენ კიდეც და მერე ჰერიი, ფრთებს შლიან და ვაი, მათ, ვინც მათ კლანჭებში ხვდება.



ჩვენ დღეს სწორედ ასეთ თაღლითზე მოგითხრობთ, რომელმაც კანონის სახელით ჩვენი მუნიციპალიტეტის, ასევე ქარელის, წალკის და ვინაა კიდევ რიგში, ღმერთმა უწყის, ასამდე საჯარო სკოლა სატაბაკე წიწილასავით გაპუტა და ათასობით ლარი პირდაპირ სასამართლოს ძალით აახია.

მართლაც რა საოცარი რამ ყოფილა ეს კანონი. აქამდე დაჯერება არ მინდოდა და ფაქტი აღმოჩნდა: თუ კანონს შეუძლია დაიცვას მართალი ადამიანი, თურმე კანონს იმის შესაძლებლობაც ჰქონია, მართალ ადამიანს თავს დაესხას და მორალურად თუ მატერიალურად ძირს დასცეს. კარგით, თავი დაანებოთ ყველაფერს და დავიწყოთ:

ხაშურის მუნიციპალიტეტის 31 საჯარო სკოლაზე შეტევა 14 თებერვალს დაიწყო, როდესაც ყველა სკოლას ელექტრონული ფოსტით ერთიდაიგივე წერილი (გნებავთ, განცხადება) მოუვიდა. რა ვქნა, მკითხველი შეიძლება გადავღალო, მაგრამ სხვაგვარად შეიძლება ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩეს, ამიტომ უცვლელად ვთავაზობთ ამ განცხადებას:

განცხადება
ელექტრონული რესურსებით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

ა) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, წლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების ასლები;

ბ) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, წლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების ანგარიშები, მიღება-ჩაბარების აქტების და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების დოკუმენტების ასლები;

გ) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, წლებში სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების (ბრძანება, ოქმი, აქტი, წერილი) ასლები (სხვა პირის პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით);

(გაგრძელება II გვერდზე)



ტერორი ჯანონის სახელით ანუ რა დღეში ჩააგდო გამაცაცოებულმა და შემდეგ გადმომაცაცოებულმა შარლატანმა საჯარო სკოლები

(გაგრძელება)

დ) 2011,2012,2013,2014,2015 წლებში სკოლის ადმინისტრაციის, ასევე სკოლის პედაგოგთა და დამხმარე პერსონალის უფლებებისა და სამსახურებრივი მოვალეობების განაწილების, საათობრივი დატვირთვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები;

ე) 2011, 2012, 2013, 2014, 2015 წლების ბუღალტრული ანგარიშები, ბალანსები და სასაქონლო-მატერიალური ტექნიკური ბაზის (აღჭურვილობის) შესყიდვის აქტები და მომსახურების მიღების/გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

ვ) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, წლებში მიღებული ფინანსური შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები ან/და სალაროს შემოსავლის ორდერები);

ზ) 2011,2012,2013,2014,2015, წლებში გამოცხადებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაცია;

თ) 2011,2012,2013,2014,2015, წლებში სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების ასლები;

ი) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, წლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმების ასლები;

კ) 2011,2012,2013,2014,2015, წლებში დამტკიცებული შესყიდვების გეგმის ასლები;



ლ) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, წლებში გამოცხადებული კონკურსების (შრომითი პერსონალის და თანამშრომლების მიღების თაობაზე) დოკუმენტების ასლები;

მ) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, სკოლის წესდების ასლი;

ნ) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, წლების სკოლის შინაგანაწესის ასლი;

ო) 2011, 2012, 2013,2014,2015, წლებში სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის შემადგენლობის არჩევის/გადარჩევის დოკუმენტების ასლები;

პ) სკოლის შინაგანაწესის ასლი;

ჟ) სკოლის ადმინისტრაციის, ასევე სკოლის პედაგოგთა და დამხმარე პერსონალის უფლებებისა და სამსახურებრივი მოვალეობების განაწილების, საათობრივი დატვირთვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები;

რ) სკოლის შენობა-ნაგებობის უზურფრუქტით მიღების თაობაზე არსებული შესაბამისი ხელშეკრულების ასლი;

ს) სსიპ – ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლის 2014, 2015, წლების ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

ტ) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, წლებში სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;

უ) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, წლებში სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;

ფ) 2011, 2012, 2013, 2014, 2015, წლებში სკოლის მიერ გაფორმებული საჯარო ხელშეკრულებების ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გთხოვთ, საჯარო ინფორმაცია გასცეთ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: pr.garemosdacva@yahoo.com სხვა პირის პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით. ინფორმაცია გაეცით ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება გამოქვეყნებული იყოს პროაქტიულად.

პასუხი გვაცნობეთ წერილობითი ფორმით.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტო, სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ეკოლოგიის ეროვნული მრჩეველი

/გიორგი ტატიშვილი/

ვინ არის ამ წერილის (განცხადების) ავტორი გიორგი ტატიშვილი? ჩვენი მკითხველი, ვფიქრობთ, კარგად უნდა იცნობდეს მას. ესაა ცნობილი ტრანსგენდერი, რომელიც ამ ორიოდე წლის წინ უცებ მაცაცოდ მოევლინა ქვეყანას და ქალის ფორმითა თუ მაკიაჟით „დამშვენებული“ სხვადასხვა სატელევიზიო შოუში იწონებდა თავს. თავის ინტერვიუებში მას თავიც მოჰქონდა, რომ მისი მომსახურებით ძალიან ბევრი მაღალჩინოსანი სარგებლობს (ამ ინტერვიუების ნახვა ინტერნეტში დღესაც ნებისმიერს შეუძლია). ჯერ იმ მაღალჩინოსნების დედაც, რომლებიც ჩვენს კისერზე სხედან, ჩვენი დაფინანსებით იღებენ ხელფასებს და მერე ამ გარყვნილთან ხარჯავენ და მერე იმ ტელევიზიებისაც, რომლებიც ასეთ შოუებს გვტენიან. ახლახანს მაცაცოდყოფილი უცებ გამოეცხადა ქვეყანას და არავითარი მაცაცო, ისევ გიორგი ტატიშვილი ვარო, განაცხადა. მოწყინდა ქალობა ბიჭს! (რა ბიჭი, რის ბიჭი, მაგრამ მე თვითონ ვარ დაბნეული და რა სქესის აღმნიშვნელი ტერმინი ჩავწერო, ვეღარ ვხვდები).

მივყვეთ საქმეს. ავტორი გავარკვიეთ. ახლა ის გავარკვიოთ, რა ოხრობაა ეს „ჟღერადი“ „გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტო“, ვისი სახელითაც ტატიშვილების „ვაჟკაცი“ სარგებლობს. დღევანდელი ტექნოლოგიებით ამის გარკვევაც წამში შეიძლება. წერილს, ორგანიზაციის ტიტულში თან ახლავს სახელმწიფო გერბი და შტრიხკოდი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ორგანიზაცია რომელიღაც მსხვილი სახელმწიფო დაწესებულებაა. არაფერი მსგავსი! ჩვეულებრივი არასამთავრობო ორგანიზაცია ყოფილა.

ღმერთმანი, არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს არასამთავროების წინააღმდეგ, პირიქით, მიმაჩნია და ვადასტურებ, რომ ეს ორგანიზაციები დემოკრატიის თანმდევი და აუცილებელი ინსტიტუტებია, მაგრამ თუ ორგანიზაცია უკვე ტიტულშივე თაღლითობს? ჯერ ერთი, ტიტულში არსად არაა არნიშნული, რომ ეს არასამტთავრობო ორგანიზაციაა, მეორეც, კანონი კრძალავს არასამთავრობო ორგანიზაციების სატიტულო ფურცელზე სახელმწიფო გერბისა და შტრიხკოდის გამოყენებას. მაგრამ რა? ამ დედაანგელოზს (თქვენ რაც გინდათ და რაც საჭიროა, ამ ტერმინში ის იგულისხმე, ძვირფასო მკითხველო) გასდის და ისიც უბერავს. სხვათაშორის, როდესაც მის ეშმაკობას მიხვდნენ ხაშურში და მიუთითეს კიდეც, ქარელის სკოლებისადმი მიწერილი განცხადებების ტიტულში გერბიც გაქრა და შტრიხკოდიც.

ახლა მთავარი: საქმეში ჩაუხედავი მკითხველი იტყვის, სკოლა საჯარო დაწესებულებაა, საჯარო ინფორმაცია კანონით ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გამოითხოვოს და მიეშავებინათ ეს ინფორმაციები და მორჩებოდა საქმეო. ეჰ, ნეტავ ასე მარტივად იყოს ყველაფერი! კი, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში, მაგრამ როდესაც საქმე დაახლოებით 15-20 ათასი თაბახის ფურცელს ეხება? ძალიანაც რომ მოინდომოს სკოლამ, ჩართოს მთელი პედკოლექტივი და დაიხმაროს მოსწავლეებიც, ვეჭვობ, ამ ვადებში ჩაეტიოს. ესეც არ იყოს, სკოლა უკვე ფინანსურად ძალიან დიდ ზარალში მოდის, რადგან 20 ათას ფურცელს მარტო 400 ლარის ქაღალდი დასჭირდება, ამას მიუმატეთ პრინტერის 10-12 კარტრიჯი და ისე გაცდებით 1000 ლარს, როგორც არაფერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანური რესურსის მთელი ათი დღით მოცდენაზე. თუ ვინმეს ეს დედაანგელოზი ისეთი გულუბრყვილო ჰგონია, რომ ამდენი არ უფიქრია, მწარედ სცდებით. უფიქრია კი არა, თაღლითობის მთელი სქემაც აქვს შედგენილი და წამითაც არ უხვევს დასახულ მიზანს. მშვენივრად უწყის, რომ სკოლები ამას ვერ მოახერხებენ და აქ უკვე სასამართლომდე მიდის საქმე. რას ჰქვია? სკოლები კანონს არღვევენ? ეს როგორ შეიძლება? ეს სად გაგონილა? ამას ვინ მოსწრებია? უშველე თემიდა, ადამიანს კანონიერ მოთხოვნას არ უსრულებენ! აქ კი საქმეში ყველაზე „კომიკური“ ნაწილი იწყება. „დაზარალებული“ გიორგი ტატიშვილი, რომლის კანონიერი უფლება ასე უხეშად „დაარღვიეს“ სკოლებმა, 17 თებერვალს ხელშეკრულებას აფორმებს „გიორგი ტატიშვილის ბიუროსთან“, რომ ამ ბიურომ მისი კანონიერი უფლებები დაიცვას. გაგიჟება შეიძება, კაცო! თავის თავთან აფორმებს ხელშეკრულებას! სხვათაშორის, 10 თებერვალს, სკოლებისადმი გაგზავნილ წერილში, იგი, როგორც ზემოთ ნახეთ, სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელია. ხელშეკრულებაში კი იგი ხელს აწერს, როგორც სააგენტოს უფროსი. თუმცა, ეს „წვრილმანი“ თაღლითობებია და მის ჩაფიქრებულ მთავარ „პროგრამას“ ხელს არ უშლის.

მოკლედ, საქმე სასამართლომდე მიდის, თუმცა რა მიდის, მივიდა და დამთავრდა კიდეც! წარმოიდგინეთ სკოლის მდგომარეობა: თუ სარჩელს არ ცნობ და წააგე სასამართლო (რისი 100 პროცენტიანი ალბათობაა), სახელმწიფო ბაჟს იხდი და ფინანსურად ზარალდები, თუ ცნობ, ხომ ისედაც წაგებული ხარ.

გამწარებულმა სკოლებმა მიმართეს ყველა ინსტანციას, მათ შორის საქართველოს პრემიერ მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს. მისი უშუალო დავალებით ამჟამად საქმეს პროკურატურა სწავლობს. მაგრამ რა? ამ შარლატანს სასამართლოს გადაწყვეტილებები უმაგრებს ზურგს, კანონით ის „მართალია“, სხვათაშორის, ეს დედაანგელოზი ადრე უკვე იყო თაღლითობისათვის ნასამართლევი. ფაქტია, რომ იგი პროფესიონალი აფერისტია, მაგარამ სასამართლოსათვის ეს მაინც არ იყო არგუმენტი. თითქოს უკან მოვიტოვეთ ის დრო, როდესაც ამ ავადსახსენებელი ნაციონალების რეჟიმის პერიოდში სასამართლო სისტემა ერთი პატარა განყოფილება იყო ხელისუფლების კარზე. ათასობით ალალმართალი კაცი სწორედ ამ სისტემის დანაშაულებრივი ქმედების გამო მოხვდა საპყრობილეში. ახალა თითქოს შეიცვალა ყველაფერი. სასამართლოც გათავისუფლდა ხელისუფლების წნეხისაგან, მაგრამ ამ წერილში მოყვანილი ფაქტებითაც დასტურდება, რომ მართალი კაცი ისევ იჩაგრება. სრულიად დარწმუნებით შემიძლია გითხრათ: ეს სასამართლო რომ ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში და სხვა განვითარებულ ქვეყანაში გამართულიყო, მოსამართლე ადგილზევე გასცემდა ასეთ შარლატანის დაკავების ბრძანებას. ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩვენ ვართ, კანონებში იმდენი რამაა დასახვეწი, რომ მათი სრულყოფისათვის ცალკე მოწვეული პარლამენტის მრავალწლიანი მუშაობაა საჭირო. მოსამართლეზე უკეთ ეს ვინ იცის? კარგად ხედავს, რომ კანონის ლაფსუსის გამო მართალი კაცი იჩაგრება, მაგრამ მისთვის ეს კანონია ჩაკეტილი წრე და ამ წრის იქით ვერ იყურება. სასამართლოს მსოფლიო პრაქტიკიდან ათასობით მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, როდესაც მოსამართლე გვერდს უვლის ცუდ კანონს, რადგან ხედავს, რომ კანონი, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, დამნაშავის მხარესაა. გახსოვთ აზდაკი გენიალურ „კავკასიური ცარცის წრეში?” იგი საკუთარი, მორალური კანონებით განსჯის და ბავშვსაც იმას მიაკუთვნებს, ვისაც მართლა ეკუთვნოდა. ვის მოუბრუნდებოდა ენა, რომ აზდაკი მართალი არ იყო, სასამართლომ არასწორი განაჩენი დადო და კანონებს გადაახტა? ეჰ, მართლა აკლია აზდაკები ჩვენს სასამართლო სისტემას. სხვა რა უნდა ვთქვათ, როდესაც სწორედ ეს სისიტემა ამართლებს მაცაცოსნაირ შარლატანებს. უფიქრია კი მოსამართლეს, რა მოხდება, ამ სულელური კანონის გადამკიდეს, ერთ მშვენიერ დღეს, სკოლებს უცებ ხუთმა ან ათმა მაცაცოსნაირმა რომ იგივე განცხადებით მიმართოს? წარმოგიდგენიათ რა მოხდება? სკოლები აბსოლიტურ კოლაფსში აღმოჩნდებიან. უნდა შეწყდეს სასწავლო პროცესი, დაითხოვონ ბავშვები და მთელი პედაგოგიური კოლექტივი ქსეროასლების გამრავლებაზე უნდა გადაერთოს. ან რა პედკოლექტივიაუვა 200 ათასი ფურცლის დაქსეროქსებას? თან 10 დღეში? ვერ მოასწრებენ და სკოლის მთელი ბიუჯეტი ტყაპ. წავა მაცაცოების ჯიბეში. გენაცვალეთ, კანონმდებლებო! თქვენს შემოქმედებით ტვინს ვენაცვალე, ასეთ გენიალურ კანონებს, რომ ქმნით და გზას კი არა მცირე საცალფეხო ბილიკსაც არ უტოვებთ მართალ კაცს, ამ სულელური კანონის შეკრული წრიდან დააღწიოს თავი! ალბათ თქვენი ბრალიცაა, რომ ეს მაცაცოები ასე მომრალდნენ ქვეყანაში და იმ

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

ტერორი კანონის სახელით ანუ რა დღეში ჩააგდო გამაცაცოებულმა და შემდეგ გადმომაცაცოებულმა შარლატანმა საჯარო სკოლები

დონეზე აღზევდნენ, რომ მთელ ქვეყანას დაგვცინიან. ა, ბატონო, ამის მაგალითი, მაცაცოს ფეისბუკის გვერდიდან, სადაც არც მალავს, რომ თაღლითია და ამაყობს კიდეც ამით. მომყავს მისი სიტყვები და ბოდიშს ვიხდი მკითხველთან იმ უცენზურობისათვის რასაც იგი კადრულობს (ამას რას მოვესწარი, საბოდიშოდ მე მიხდება საქმე გ.გ): „ნუ შემეცით რა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თაღლითობაც ერთგვარი ხელოვნება და რომ იძახით მოგვატყუა მოგვატყუაო, ვინ ტყუვდება თუ არა დებილი? ჰოდა, დებილები ხართ და ჩუ რა, ჰა-ჰა-ჰა!"

ნუთუ ამის მერე მაინც არ უნდა დარწმუნებულიყო სასამართლო, რომ ამ გაურკვეველი სქესის ადამიანს სკოლების მონიტორინგი სულ ცალ ფეხზე ეკიდა და აფიორას ქმნიდა? არა, ვერ დარწმუნდა! ეს დედააფეთქებული კანონი უდევს წინ და იმის იქით სამყარო აღარ ჩანს.

მოკლედ, დამთავრდა ესე „ზღაპარი". ის სკოლები, რომლებიც სასამართლოზე გაურიგდნენ მოსარჩელეს, 90 მანეთად „გამოძვრნენ" ამ დავიდარაბიდან, ვინც არა და სასამართლომ დააკისრა ასიდან ასორმოცდაათ მანეთამდე გადახდა. ახლა ეს ყველაფერი, სულ მცირე, 100 სკოლაზე გადაამრავლეთ და კი გაივსო ჯიბე ამ ჩვენმა მაცაცუნამ.

ეს დასავლეთი, რომელიც უკვე ყელში ამოვიდა თავისი ლიბერალიზმით, ყოველწამს ჩაგვჩიჩინებს, რომ ლგბტ პირებს პატივი უნდა ვცეთ და მათი უფლებები დავიცვათ. ღმერთმანი, მეც მინდა მათ თავისი ცხოვრებით პატივისცემა დაიმსახურონ, მაგრამ ასეთი ქცევით? ასეთი მორალით? თუ სწორედ ესაა იმ დასავლეთის მიზანი, რომ ამ მორალის ხალხს ვაშენებინოთ ქვეყანა, რომ ქართული წესი, ადათი, ტრადიცია საბოლოოდ დასამარდეს და ყოველივე ქართული მოისპოს? ალბათ ასეცაა და მივდივართ თუ მივექანებით კიდეც ამისკენ, რადგან როდესაც ხალხი მოძღვარს აღარ უსმენს, მაშინ ქვეყანა ჯამბაზებს უვარდებათ ხელში.

გოგი გოგოლაძე

ПОЗИЦИЯ

სადღეგრძელოებიც იბადებიან, კვდებიან და ქრებიან

საქართველო ღვინის უძველესი სამშობლოა, ღვინო კი ქართული სუფრის მშვენებაა, ურომლისოდაც არც საუბარს და არც გართობას ხიბლი არა აქვს.

არ ვიცი, როდის ჩაეყარა საფუძველი სუფრაზე ღვინით სადღეგრძელოების წარმოთქმის ტრადიციას, მაგრამ აშკარაა, რომ სადღეგრძელოები ეპოქის გარკვეულ პერიოდთან ერთად იბადებიან, თანდათან ფერმკრთალდებიან, კვდებიან და ქრებიან.

მინდა ჩემი ბავშვობის და ახალგაზრდობის პერიოდის სადღეგრძელოები გავიხსენო, რომელთა ნაწილი გაქრა, ნაწილმა კი პოლიტიკური ელფერი შეიძინა, გაფერმკრთალდა და სუფრასთან წარმოთქმისას თამადის გამონათქვამისადმი ერთსულოვნება აღარ იგრძნობა.

ეს წერილი მინდა ავბედით 1941 წლის 22 ივნისს დავუკავშირო, როცა დასავლეთ ევროპაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა აღმოსავლეთისკენ გადმოინაცვლეს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი გადმოლახეს, დაიწყო ისტორიაში ჯერ არნახული მასშტაბის ნგრევა და კაცთა კვლა.

საქართველოს არსებობის ისტორიის განმავლობაში, ალბათ არ დაღუპულა იმდენი ჩვენი თანამემამულე, რამდენიც იმ ომმა შეიწირა.

ჯერ კიდევ დაუზუსტებელი ცნობით, საქართველოდან გაწვეული 680 ათასი კაციდან 270 ათასი მეომარი ვეღარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას, ეს მაშინ, როცა საქართველოს არასოდეს ჰყოლია 100 ათასიანი ლაშქარი, ხშირად კი მისი რაოდენობა რამდენიმე ათასი კაცით შემოიფარგლებოდა.

ჩემი ბავშვობის წლებში მიღებული იყო ფეხზე ადგომით „წითელი ღობის" სადრეგრძელოს წარმოთქმა. წითელ ღობეში იგულისხმებოდა საბჭოთა არმია, რომელსაც თავის დროზე განმათავისუფლებელს, ხოლო შემდგომში დამპყრობელს უწოდებდნენ. ეს სადღეგრძელო XX საუკუნეში დაიბადა, მოკვდა და გაქრა.

ასევე დაიბადა, მოკვდა დაგაქრა ლავრენტი ბერიას სადღეგრძელო, რომელსაც თურმე შიშის გამო სვამდნენ. თუ რომელიმე სუფრასთან მის სადღეგრძელოს არ წარმოთქვამდნენ, სუფრის თამადას შავი დღე ელოდებოდა.

ჩვენს თვალწინ დაიბადა, მოკვდა და გაქრა კომუნისტური პარტიის და მისი ცალკეული ლიდერების სადღეგრძელოები.

ეს სადღეგრძელოები გამოგონილი იქნენ მლიქვნელების მიერ და ამიტომაც მათთან ერთად გაფერმკრთალდნენ და გაქრნენ.

სამწუხაროდ, გაფერმკრთალდა შინმოუსვლელთა სადრეგრძელო, რომელშიც იგულისხმებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს საბრძოლო ფრონტზე გაწვეული და იქიდან უკან ვეღარ დაბრუნებული თანამემამულენი. მათდამი გულცივ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით ახალგაზრდების მხრიდან, მე მტკივნეულად განვიცდი, თუმცა ცოტა მაინც მამშვიდებს ისტორიის ჩარხის მუდმივი ტრიალი, რომელმაც ვერ შემოგვინახა 300 არაგველიდან ვერცერთი მონაცემები, მაგრამ მათ მიერ ჩადენილი გმირობა პატრიოტული გრძნობების შთაგონების წყაროდ კიდევ დიდხანს დარჩება ქართველი ხალხის წიაღში. ასე მოხდება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა მიმართ დამოკიდებულებაშიც.

იმ ელფერით აღარ ამბობენ 9 აპრილის ტრაგედიის დაღუპულთა და მონაწილეთა სადღეგრძელოს, როგორც 90-იან წლებში გამოითქმებოდა. მაშინ იყო აზრი, რომ ქართულ სუფრაზე კიდევ ერთი აუცილებლად სათქმელი სადრეგრძელო წარმოიქმნა, მაგრამ აუცილებლობა სასურველობაში გადაიზარდა და ახლა კანტი-კუნტად თუ მოისმენთ მას.

გაფერმკრთალდა ხალხთა შორის მეგობრობის სადღეგრძელო. ეს ტრაგედიაა. მეგობრობა ხომ მშვიდობის საწინდარია.

სულიერების გამოცოცხლების პარალელურად წარმოიშვა ახალი სადღეგრძელოებიც, რომლებიც შორსაა პარტიულ-პოლიტიკური კონიუნქტურიდან.

ურწმუნოთა მმართველობის პერიოდში ოფიციალურად არავის აუკრძალავს რელიგიურად ცხოვრება, მაგრამ მორწმუნე ადამიანებს გიჟებად თვლიდნენ და გიჟებს კი პასუხსაგებ სამსახურთან ახლოს ვინ გააკარებდა?

წმინდანად შერაცხული გაბრიელ ბერი დახვრეტას იმით გადაურჩა, რომ ღმერთი სწამდა და გიჟად მიიჩნევდნენ.

ჩემი სიცოცხლის მანძილზე საქართველოს ეკლესიის ხუთ წინამძღვარს მოვესწარი. ყოველ მათგანს ურწმუნოთა ზეობის დროს მოუწია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლობა კათალიკოს-პატრიარქის რანგში. მძიმე იყო ასეთი ჯვრის ტარება, მაგრამ მათდა სასახელოდ, რეპრესიების, მუქარის, შევიწროებისა და შეურაცხყოფის მიუხედავად, ღირსეულად ატარეს იგი, ხალხს შეუნარჩუნეს ჭეშმარიტი სარწმუნოება.

1977 წლის 25 დეკემბერს მოხდა ილია II-ის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აღსაყდრება და დღემდე იგი საქართველოს სულიერი სამყაროს ღირსეული წინამძღოლია.

წინა ათწლეულებში მოღვაწე კათალიკოს-პატრიარქების დროს ქრისტიანული რელიგიური რიტუალები მიჩუმათებულად მიმდინარეობდა. ილია მეორემ კი არა მარტო მათი საჯაროობა, არამედ ქვეყნის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების ეკლესიის მრევლად მოზიდვაც კი შეძლო. ერთ დროს პირველი ურწმუნონი ანთებული სანთლებით ხელში ჯვარსა და კაბის კალთას კოცნიდნენ, ასეა დღესაც. ერი უდიდესი პატივისცემით ეპყრობა მას. აი, ასეთმა სახალხო სიყვარულმა და განწყობამ წარმოშვა ახალი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი მიძღვნილი სადღეგრძელო, რომელსაც ფეხზე ადგომით სვამენ სუფრის დასაწყისშივე.

ვინ ან როდის დაიმსახურებს ახლო მომავალში ასეთს პატივისცემას?

ახალ სადღეგრძელოთა შორის ღირსეული ადგილი დაიკავა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის სადღეგრძელომ.

ჩემი ბავშვობის პერიოდში უპირველეს სადღეგრძელოდ მიჩნეული იყო იოსებ სტალინის სადღეგრძელო, რომელსაც არა მარტო ფეხზე ადგომით, არამედ ოვაციითაც ხვდებოდნენ. ვინ გაბედავდა, ფეხზე არ ამდგარიყო ღმერთკაცად მიჩნეული ადამიანის სადღეგრძელოს წარმოთქმისას.

ახლა ამ სადღეგრძელოს ასაკში შესულებიც კი იშვიათად ამბობენ, თანდათან ფერმკრთალდება და კვდება იგი. სტალინის ხსენება სუფრასთან ხმაურს და უწესრიგობას იწვევს იმის გამო, რომ ჭურადქცეული სამი თაობა ერთმანეთს უმტკიცებს სტალინის ავკარგიანობას. ერთი თაობა ჭურიდან ამოძახილი საქებარი სიტყვებით იხსენიებს მას, მეორე თაობას ჭურიდან მის შესახებ მხოლოდ უარყოფითი ხმა ესმის, მესამე თაობას კი საერთოდ ვერ გაუგია და არც აინტერესებს რა ფენომენთან აქვს საქმე, მაგრამ უფრო უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს, ვიდრე დადებითს, რადგანაც მისი თაობა სტალინის ლანძღვა-გინების მომსწრე უფროა, ვიდრე მისი ქება-დიდების.

სინამდვილეში სამივე თაობა ტყუის. არ შეიძლება სამივე თაობა იყოს კარგი ან ცუდი. ნებისმიერ ადამიანს აქვს ორივე მხარე. შეიძლება დადებითად ან უარყოფითად შეაფასო ადამიანის მიერ ცალკეული ნამოქმედარი, მაგრამ მისი მთლიანობაში დადებითად ან უარყოფითად შეფასება არასოდეს იქნება ჭეშმარიტი.

ამ ისტორიულ პიროვნებაზე რომ ახალგაზრდებს წარმოდგენა მაინც შეექმნათ, მოვიყვან მოკლე მონაცემებს მისი ბიოგრაფიიდან.

ი.ბ. სტალინი დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს გორში. სკკპ წევრი იყო 1898 წლიდან. რუსეთში სამოქალაქო ომის დროს იყო რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური და რიგი ფრონტების საბჭოს წევრი. 1922-1953 წლებში იყო სკკპ ცკ გენერალური მდივანი, იმავდროულად 1941 წლიდან იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მის სახელთანაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის ხუთწლედები, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება და გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის მიღება. 1939 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. 1941-1945 წლების ომის დროს იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, თავ-

(დასასრული IV გვერდზე)

(დასასრული II გვერდზე)

დაცვის სახელმწიფო კომისარი (მინისტრი), უმაღლესი მთავარსარდალი, ხელმძღვანელობდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს. 1945 წლის 26 ივნისს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების უზრუნველყოფაში გაწეული დიდი ღვაწლისთვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და იმავე წელს საბჭოთა კავშირის გენერალი-სიმუსის წოდება. ორჯერ იყო დაჯილდოებული უმაღლესი სამხედრო „გამარჯვების“ ორდენით. აქტიურად მონაწილეობდა ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობა-განვითარების პროგრამის შემუშავებაში. ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ქვეყნის განვითარების ყველა ძირითად მიმართულებას.

გამოქვეყნებულია მისი პოლიტიკური ნაშრომების 13 ტომი. საგაზეთო წერილი კი არა, ტომეულები ვერ მოითავსებენ მის მიმართ გამოთქმულ კომპეტენტურ თუ ქარაფშუტულ აზრებს.

სინამდვილე ისაა, რომ მას მსოფლიოში ჯერ კიდევ ჰყავს მრავალი თაყვანისმცემელი. ეს არცაა გასაკვირი. აბა გაიფიქრეთ, რამდენი თაყვანისმცემელი ჰყავს სისხლით გაუმაძღარ მაკედონელს, ნაპოლეონს, ჰიტლერს, მრავალ ხანს, ყაენს თუ დამპყრობელ მეფეს.

მეორე მსოფლიო ომი ჩვენი შავბნელი ისტორიის გუშინდელი დღეა. ამ ომის ისტორიასთან ერთად კარგად თუ ცუდად იცოცხლებს ი. სტალინის სახელიც, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშიზმის განადგურების საქმეში. ამას ხომ მთელი მსოფლიო აღიარებს.

მე, როგორც ომის გამო ბავშვობაწართმეულ მოქალაქეს, არ შემიძლია დუმილით შევხვდე ავბედით 22 ივნისს.

მკითხველს ვთხოვ, ეს წერილი არ ჩათვალოს საქმეგამოლეული კაცის ნაჯღაბნად. სტალინის

სახელს ჩემნაირთა კნავილი ვერც ვერაფერს მოაკლებს და ვერც მიუმატებს.

საქმე ისაა, რომ ვეებერთელა ქვეყნის პატრონი თვითონ აღმოჩნდა სრულიად უპატრონო და

დაუცველი. ახლახან ვიღაც-რაღაცა კვლევებით დაუდგენიათ, რომ სტალინი ყოფილა მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა რიგებში, ეს მაშინ, როცა კაცს გამოსაცვლელი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი არ ჰქონდა და მისი არაფრისმქონე ოჯახი ისეა განადგურებული, რომ მალე შთამომავლობის არსებობის კვალიც კი შეიძლება გაქრეს.

ამ კვლევის სიცრუე არის პირში წყალჩაგუბებული, თვალდავსებული და ყურებდახშული მსოფლიოს სირცხვილი.

ი. სტალინის სახელისა და ღირსების შელახვას, მისი დამსახურების გაბაიბურებას სათავე დაუდო ტვინნაღრძობი ნ. ხრუშჩოვის გამოსვლამ პარტიის XX ყრილობაზე, როცა მან სტალინს მიაწება პიროვნების კულტის იარლიყი.

ერთ-ერთ ბრალდებად მას წაუყენეს ის ფაქტი, რომ ომის წლებში თურმე არღვევდა პარტიის წესდებას და არ იწვევდა პარტიის პლენუმებს, კონფერენციებს და ყრილობებს.

ნ. ხრუშჩოვის გარდა, არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ, არავის დაუწუნებია სტალინის სამხედრო სტრატეგია, ტაქტიკა და შორსმჭვრეტელობა. მიუხედავად მისი პოლიტიკურად განადგურების მცდელობისა, ვერავინ გაბედა დაეყენებინა საკითხი გენერალი სიმუსის წოდების ჩამორთმევის შესახებ. ასევე ვერავინ დააყვედრა სოციალისტური შრომის და საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდებები.

თავისთავად იბადება კითხვა: თუ სტალინი იყო ქვეყნის დამაქცეველი, სიკვდილის შემდეგ მაინც რატომ არ ჩამოართვეს საპატიო წოდებები, უმაღლესი სახელმწიფო და სამხედრო ორდენები და ა.შ. ფაქტია, რომ პოლიტიკურმა ლაყბობამ სამართლებრივად მას ვერაფერი დააკლო.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

სადღეგრძელოებიც იბადებიან, კვდებიან და ქრებიან

ი. სტალინი დიდ პატივს სცემდა რუს ხალხს. 1945 წლის 24 მაისს, კრემლში, წითელი არმიის ჯარების სარდალთა პატივსაცემად გამართულ მიღებაზე, სადღეგრძელოში რუს ხალხს ახასიათებდა, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ ძალას ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის. მან ბრძანა: „მე ვადღეგრძელებ რუს ხალხს არა მარტო იმიტომ, რომ იგი ხელმძღვანელი ხალხია, არამედ იმიტომაც, რომ მას აქვს ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინება“. როგორ მოექცა „ნათელი გონების“ ხალხი“ რუსეთის აღმაშენებელს?

ტრაგიკული ბედის მქონე სტალინი არც ცოცხალი და არც მკვდარი არავის გაუსამართლებია, ის არც რეპრესირებულია და არც რეაბილიტირებული. არც მშობლიურ მიწაში განსვენება აღირსეს და არც მისი ძეგლების დანგრევის შესახებ ყოფილა მაღალი დონის ობიექტური ხელისშემშლელი დადგენილებები. მისი ხსენებაც კი გაურკვეველ რეაქციებს იწვევს მტერ-მოყვარეში. საქმე იქამდე მივიდა, რომ გადამთიელები გვკარნახობენ და სვამენ საკითხს მისი ძეგლის ან ბიუსტის დადგმა-აღების შესახებ. როგორ ფიქრობთ, გერმანელები სადმე სტალინის ძეგლის დადგმას მოისურვებენ ან მოიწონებენ?

მკითხველს მინდა, შევახსენო, რომ საპატიო წოდებებს, უმაღლეს ჯილდოებს, მათ აღწერილობებს და მინიჭება-ჩამორთმევის წესებს არეგულირებდა სსრ კავშირის კანონმდებლობა და ხორციელდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით. აქედან გამომდინარე, მინისტრთა საბჭო აკონკრეტებდა და სათანადო უწყებებს ავალებდა პროექტების და სხვა სამუშაოების შესრულებას.

საბჭოთა კავშირის გმირის ბიუსტი ბრძანებულებითა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად, იდგმებოდა გმირის სამშობლოში, როგორც წესი პარკებში, სკვერებსა და ბულვარებში. გმირის ბიუსტი უნდა ყოფილიყო მოცულობით ნატურალურ ზომასთან შედარებით ორჯერ მეტი და ჩამოისხმებოდა ბრინჯაოსგან. ბრინჯაოს ბიუსტი უნდა დადგმულიყო 2,5-დან 3 მეტრამდე სიმაღლის პოსტამენტზე. ასევე დადგენილი იყო პოსტამენტზე ჯილდოების რელიეფური გამოსახულების და მოკლე ინფორმაციის აღწერა თუ რა დამსახურებისთვის მიიღო მან ეს აღიარება.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტები არავის გაუუქმებია და რის საფუძველზე ანგრევენ გმირების ძეგლებს, თანაც გადამთიელთა მითითებების გათვალისწინებითა და საამებლად?

საბჭოთა კავშირის გმირის წოდება 12700 კაცზე მეტს აქვს მინიჭებული. სამწუხაროდ, არ ვიცი სოციალისტური შრომის გმირთა რაოდენობა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ გმირთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთში იყო დაბადებული. თუ მეტი საქმე არაფერი აქვთ, რუსებმა, როგორც სსრ კავშირის სამართალმემკვიდრეებმა, დაადგინონ და ანგრიონ თავიანთი გმირების ძეგლები თავიანთ ტერიტორიაზე.

1941 წლის 22 ივნისი ეპოქის მოურჩენელი ტკივილია. მის ახლო-მახლო წლებში წარმოიშვა ფაშიზმი, როგორც რეაქციული და აგრესიული პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელმაც მსოფლიოს ხალხების დიდ ნაწილს ისტორიაში ჯერ არნახული ტრაგედია დაატეხა თავს.

მისი იდეოლოგიის გამარჯვება-დამარცხებისთვის ბრძოლას 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის იყვნენ ჩვენი მამა-პაპანი და 270 ათასამდე თანამემამულე.

როგორც რიგითმა მოქალაქემ, მინდა მივმართო ჩემს ხალხს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომ შევინარჩუნოთ ღირსება და პატივისცემით მოვიხსენიოთ ნებისმიერი რანგის მებრძოლები, რიგითიდან გენერალსიმუსამდე, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად გარკვეული წვლილი შეიტანეს ფაშიზმის დამარცხებაში.

ცვალებადი პოლიტიკური კლიმატის ქარტეხილებში ნუ ავთქვეფავთ ჩვენებურ ტრადიციებს, გავითვალისწინოთ მამათა თაობის ეპოქალური ხვედრი და იმ ორი დაუნდობელი რეჟიმის ერთდროული ზეობა, როცა ადამიანის სიცოცხლე დიდად არ ფასობდა, ოღონდ ერთმანეთი გაენადგურებინათ.

გავიხსენოთ ჩვენი ბავშვობისდროინდელი მეომარი პატრონის მოლოდინში სახურავჩანგრეული და ღობეწაქცეული ნასახლარად ქცეული კარ-მიდამოები, გავიხსენოთ დრო, როცა „ფოსტალიონებს დაჰქონდათ ჩანთით ხან სიხარული, ხან შეკივლება“. გავიხსენოთ სამკუთხა წერილების მოლოდინში მინავალი დღე და ღამეები და იმედთან ერთად ჩაფერფლილი გაწამებული ადამიანები.

გვეყოს ღირსება და პატივი მივაგოთ ახალგაზრდებს, რომლებიც საწარმოდან თუ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებიდან ისე აღმოჩნდნენ ჯოჯოხეთური ბრძოლის ფრონტზე, რომ დანიშნულ საცოლესაც ვერ გამოემშვიდობნენ, ან ვერ შეხვდნენ პირველი შვილის დაბადებას, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა მოვლინებოდა ქვეყანას, გავიხსენოთ გადადებული და არშემდგარი ქორწილები, მომაკვდავ ან გარდაცვლილ ახლობლებთან გამომშვიდობება, მელანშეუმშრალი დიპლომების აუღებლობა, მეომართა გამცილებლების ზღვა ცრემლი, შვილების უმამოდ გაზრდის სიძნელეები, შიმშილი, სიცივე, სიღატაკე, სიშიშვლე, სამჯერ საკერებელდადებული ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, მაგრამ იმედი გამარჯვებისა და ავტორიტეტი ქვეყნის ხელმძღვანელისა.

გავიხსენოთ ფრონტიდან დაბრუნებული ცოცხალ-მკვდარი, კიდურებდაგლეჯილი ნაცნობ-უცნობი, რომლებმაც საფლავში გაიყოლეს ბრძოლის დროს მოხვედრილი ტყვიის და სხვა მეტალების ნამსხვრევები.

გვეყოს ღირსება და პატივი მივაგოთ დაღუპული მებრძოლების მშობლების და ოჯახის სხვა წევრების ხსოვნას, რომელთა მხრებზეც გადაიარა ომისგან გამოწვეულმა მთელმა სიძნელეებმა. პატივი მივაგოთ შიმშილით ძუძუგამშრალი დედების, კუჭცარიელი პაპების და ბებოების ხსოვნას, რომლებიც ნამცეც-ნამცეც შოულობდნენ და გვაწვდიდნენ სასიცოცხლო ლუკმას.

გვეყოს ღირსება და პატივი მივაგოთ ქალებს, რომლებმაც გადაგვატანინეს არნახული გაჭირვება და სიცოცხლე შეგვინარჩუნეს, რომლებიც ომის წლებში, გარდა ქალური საზრუნავისა, ასრულებდნენ მამაკაცის ფუნქციებს, იყვნენ მებრძოლებიც, მშრომელებიც, მესაფლავენიც, მეკუბოვენიც, მექანიზატორებიც და ჭრელი კაბის ჩაცმის მონატრულები ქმართა, შვილთა და ძმათა მოლოდინში ჩაიფერფლენ, ხშირ შემთხვევაში, სათაყვანებელი ახლობლების ფოტოსურათებიც რომ არ გააჩნდათ მოსაფერებლად.

გვეყოს ღირსება, რომ არ გავაფერმკრთალოთ და ამ მძიმე დღეებში, ფეხზე ადგომით, კიდევ ერთჯერ შევსვათ გაწამებული თაობის მოსაგონარი უკვდავი სადღეგრძელო, დავიწყოთ იგი ცნობილი გამონათქვამით და დავამთავროთ გათანამედროვებული სიტყვებით:

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში!

რევაზ გრიგალაშვილი

ბრუცელოზი - საშიში დაავადება

ჩვენი რაიონი ითვლება საშიში ინფექციური დაავადების ბრუცელოზის გავრცელების არიალად რომელიც, თავდაპირველად მსხვილფეხა ცხოველებში ვლინდება. სავალალო მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით ჩვენც სათანადო ინფორმაციას მოგაწვდით დაავადებასთან ბრძოლის ხერხებზე. ამისათვის, სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორს შმაგი ზაზიკაშვილს ვესაუბრეთ, რომელმაც არსებული მდგომარეობა გაგვაცნო და სიფრთხილისკენ მოგვიწოდა.

- რა დაავადებასთან გვაქვს საქმე?

–ბრუცელოზის დაავადებას იწვევს ბაქტერია, რომლითაც ავადდება როგორც ცხოველი, ასევე ადამიანიც. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ბრუცელიოზით დაავადებული ცხოველების მკურნალობის მეთოდები არ არსებობს,თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი სტრატეგიის ფარგლებში ბრუცელიოზის საწინააღმდეგოდ ახორციელებს ლაბორატორიულ გამოკვლევებს და ბრუცელიოზის საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

- რა სიმპტომებით ვლინდება ცხოველში ბრუცელიოზი?

– ბრუცელიოზი, უმრავლეს შემთხვევაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ხილული ნიშნები ყველა ცხოველში ერთნაირი არაა, მაგრამ აბორტი, დამახასიათებელია ცხოველთა უმეტესობისათვის, უმთავრესად მე-5-8 თვეზე. აბორტის შემდეგ ხშირად შეინიშნება მომყოლის შეჩერება, ამასთან წველადობის შემცირება და ბერწად დარჩენა. ბუღებში სათესლე ჯირკვლების დაზიანება.

- როგორ უნდა მოიქცეს ფერმერი ასეთი სიმპტომების შემჩნევისას?

– პირველ რიგში,გლეხმა თავად უნდა ჩაიტაროს გეგმიური პოფილაქტიკური და დიაგნოსტიკური გამოკვლევა ვეტერინარი ექიმის დახმარებით, რადგანაც ადამიანის ჯანმრთელობაც საფთხის ქვეშაა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ,ბრუცელოიზი ცხოველებში არ იკურნება, შესაბამისად მხოლოდ ცხოველის მოკვდინებითაა დაავადების აღმოფხვრა შესაძლებელი. დაავადებული ცხოველის დაკვლა დასაშვებია მხოლოდ სასაკლაოზე ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ.

- როგორ უნდა დაიცვას გლეხმა საკუთარი პირუტყვი, ვთქვათ, მეზობლის დაავადებული პირუტყვისაგან?

– მეზობელმა უნდა მოახდინოს დაავადებული ცხოველის ლიკვიდაცია და სადგომების დეზინფექცია, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ჯანმრთელი ცხოველის დაცვას. ამ დაავადებით ცხოველი არ იღუპება, უბრალოდ ის დაავადების გავრცელების წყაროა ადამიანსა და მეორე ცხოველში.

- შეიძლება თუ არა დაავადებული საქონლის რძის და რძისაგან დამზადებული პროდუქტების მიღება?

– რა თქმა უნდა არ შეიძლება. დაინფიცირებული რძისა და სხვა პროდუქტების გამოყენებისას, არსებობს ავადმყოფობის გავრცელების დიდი რისკი. ამიტომ, თუ ვიცით, რომ საქონელი არის ბრუცელიოზით დაავადებული, ის ექვემდებარება ლიკვიდაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანმა უნდა მიიღოს თერმულად დამუშავებული რძის პროდუქტები.

- როგორ ვლინდება ბრუცელიოზი ადამიანებში და როგორ გადადის დაავადება პირუტყვიდან ადამიანში?

– ზოგადად ბრუცელიოზს ახასიათებს ცხელება, ტემპერატურა აღწევს 40-41 გრადუსს, შეიძლება ეს გაგრძელდეს 7-10 დღე. აღინიშნება უძილობა, გაღიზიანებადობა,ბოდვა,ტაქიკარდია,ხუთვა,აირების დაგროვება ნაწლავებში, ძლიერი ოფლიანობა და ფაღარათი. მსგავსი სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყონებლივ უნდა მიმართოთ ექიმს. დროული მკურნალობით ბრუცელოზი იკურნება. ადამიანი ცხოველისაგან ავადდება ძირითადად უსაფრთხოების ზომების დაუცველობით, განსაკუთრებით, მშობიარობის დროს შიშველი ხელებით მიხმარებისას.

- რა სამუშაოები მიმდინარეობს დაავადების აღსაკვეთად?

– წელს ხაშურში ბრუცელიოზის შემთხვევა არ დაფიქსირებულა, თუმცა პროფილაქტიკურ სამუშაოებს აქტიურად ვატარებთ. ჩვენი რაიონის მასშტაბით მიმდინარეობს მსხვილფეხა პირუტყვის პროფილაქტიკური ვაქცინაციის წინა დიაგნოსტიკური გამოკვლევა. დადებითად მორეაგირე პირუტყვის დადამღვა, სანიტარული წესით დაკვლა და სადგომების დეზინფექცია. აუცილებელია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ცხოველის პატრონის მიერ სუბიექტური მიზეზებით გამოკვლევაზე უარის მიღების დროს, თავდაპირველად ვიძლევით წერილობით მითითებას, შემდგომ უკვე ჯარიმდება, ოჯახური წარმოების სუბიექტი 100 ლარით, ხოლო ბიზნესოპერატორი - 500 ლარის ოდენობით. თუ ცხოველში დაავადება იქნა აღმოჩენილი სახელმწიფო კომპენსაციის სახით უხდის სუბიექტს 100 ლარს, ხოლო სასაკლაოზე დაკლული ცხოველიც მფლობელის საკუთრებაში რჩება.

თ. ახალკაცი

ფუტკრის ღალიანობის ეტაპი

მეფუტკრე სპეციალისტის გიორგი ჯელაძის რჩევები ჩვენმა გაზეთმა წინა ნომერშიც შემოგთავაზათ. დღეს კვლავ ვაგრძელებთ ამ თემას.

მინდა გავაგრძელო ღალიანობის ეტაპის მიმოხილვა. მეფუტკრე ფერმერმა თავიდანვე უნდა განსაზღვროს გამრავლებაზე იმუშავებს თუ თაფლის მოსავალს აიღებს. მოკლედ ჩემს გამოცდილებასაც გაგიზიარებთ, რომლითაც ამჟამად ვსარგებლობ. შევეცადე ჩემთვის გამემარტივებინა და გამომეყენებინა ის მეთოდები, რასაც მოწინავე მეფუტკრეები იყენებენ,ჩემს საფუტკრეში ამჟამად კორპუსიანი დადანის ტიპის სკებია (10 ჩარჩო), ფუტკრის გამრავლების პროცესში, როცა ფუტკარი დაფარავს 10 ჩარჩოს, ვიწყებ გაყოფის პროცესს. ამ პერიოდისათვის მზად მაქვს 14 დღიანი სადედეები, 5 ჩარჩოს, ფუტკრის დედითურთ, ავიტან მეორე კორპუსში. კორპუსებს შორის გამყოფად ვხმარობ პოლიეთილენის ტომარას, სკის თავზე კი წარმატებით ვიყენებ ცელოფანს, ვთვლი რომ ჩვენი რეგიონისთვის საკმაოდ მოსახერხებელია, ინარჩუნებს ტემტერატურას გაზაფხულზე, ასევე ფუტკრის ოჯახების ერთმანეთის გაქურდვის შემთხვევებიც მინიმალურამდე დადის(ვხმარობ მარტიდან სექტემბრის თვის ჩათვლით). ტენიანობას ვარეგულირებ სკის საფრენის სიდიდით მიხედვით, დაბლა დარჩენილ ფუტკარს ვაძლევ 14 დღიან სადედეს ზამბარით.(საკუთარი გამოცდილებიდან მაღლა კორპუსში ნაკლებად ნაყოფიერდება დედა ფუტკარი, ვიდრე დაბლა კორპუსში) დედის განაყოფიერების შემდგომ ვუცვლი კორპუსებს ადგილს მაღლა, ახალი ფუტკრის დედას ვამუშავებ, დაბლა ძველ დედას ვკლავ და ვაძლევ 14 დღიან სადედეს, ამ პროცესის დასრულების შედეგად უკვე გვეყოლება ორი ახალი ფუტკრის დედა, ორი უკვე ავტონომიური ფუტკრის ოჯახი. გარემო პირობებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმუშაოთ გამრავლებაზე, კორპუსს ცალკე ძირისა და სახურავის გაკეთებით გადავაადგილებთ 7-10 კილომეტრზე და მივიღებთ ორ ფუტკრის ოჯახს, მოსავლის ასაღებად კორპუსებს შორის ემატება დამატებით კორპუსი და სკას ვამუშავებთ ან ორი დედით ან ერთერთ დედას ვიღებთ ნუკლეუსით და სკას ვაერთიანებთ. ეს მეთოდი მოითხოვს საკმაოდ დიდ გამოცდილებას და ყურადღებას, შედარებით იოლად მეორე ხერხით შეიძლება ავაწყოთ თაფლის მომტანი სკები. ამ მეთოდითაც ვსარგებლობ დაბლა კორპუსში დედის განაყოფიერების შემდგომ თუ მაღლა კორპუსში ფუტკრის ოჯახი არის იმ სიძლიერის, რომ მისი გაყოფა შეიძლება. ფანერით ვერტიკალურად გატიხრულ სკებში ვახდენ გაყოფას და ვაძლევ 14 დღიან სადედეებს, ნუკლეუსები გადამაქვს 7-10 კილომეტრში, თაფლის მოსატანად კი ცალკე საფუტკრეში ჯერ გადამაქვს სრულფასოვანი ფუტკრის ოჯახი, მას ვადგამ კორპუსს, რომელშიც ვახდენ ბუდის გაფართოებას. მესამე კორპუსად კი ვადგამ განაყოფიერებულ ნუკლეუსს, ეს ყველაფერი კეთდება ღალიანობამდე ორი კვირით ადრე. დაბლა ორი კორპუსი განიმანის ცხრილით არის გაყოფილი, მესამე კორპუსი კი პოლიეთილენის ტომარით, რომელიც ღალის დაწყებისას ეცლება და მის ადგილას განიმანის ცხრილი დგება. ეს მეთოდები თითქმის გამორიცხავს ფუტკრის ოჯახიდან ნაყარის გასვლას. მუშაობის პროცესში ბევრი წვრილმანია. პრაქტიკიდან ნუკლეუსის გაკეთებიდან 3 საათის შემდეგ ვაძლევ სადედეს ზამბარით და ნუკლეუს გადავაადგილებ,გასანაყოფიერებელი დედის არსებობის შემთხვევაში,ძველ დედას ვაპატიმრებ გალიაში ერთი დღით, მეორე დღეს იგივე გალიაში ვათავსებ ახალ გასანაყოფიერებელ დედას და ვათავსებ ფუტკრის ოჯახში მინიმუმ ერთი დღე, დედის მიღება თითქმის 100 პროცენტია, აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დედის დაპატიმრების დრო უნდა იყოს მინიმალური, რადგან იგი წონაში კლებულობს. ოჯახების გაერთიანებას ვახდენ დღის ბოლოს პოლიეთილენის ტომრის ჯერ ნაწილობრივ უკანა მხარის გაწევით, მეორე დღეს კი მთლიანად მოცილებით. ეს აუცილებელია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს შემთხვევაში პოლიეთილენის ტომარა ატარებს სუნს და ორივე ოჯახის სუნი თითქმის ერთია, კორპუსების ერთმანეთთან ადგილების შეცვლას ვახორციელებ დღის მეორე ნახევარში და წინა დღით ყოველი შემთხვევისთვის ორივე ოჯახს ვაწვეთებ პიტნის ნაყინს.

მურად მთვარელიძე - ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის გამარჯვებული

თბილისში, სამების საკათედრო ტაძრის დარბაზში, გაიმართა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალში "წმინდა ნინოს ჯვარი" გამარჯვებულ ავტორთა დაჯილდოვება და რიგით IV საფესტივალო კრებულის წარდგინება. სასიხარულოა, რომ წელს ეს პატივი ჩვენს თანამოქალაქეს, პოეტს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს **მურად მთვარელიძეს** ერგო. თუ რა სახის და მნიშვნელობის კონკურსია, ბატონი მურადი ისაუბრებს:

–ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი 6 წელია იმართება. გაზაფხულზე გამოცხადდა მორიგი კონკურსი, გავაგზავნე ერთი ლექსი, რომელიც ქრისტიანულ თემაზეა შექმნილი. საკმაოდ წარმომადგენლობითი კონკურსია. 6 მაისს შეჯამდა შედეგები, აქ არის სამი სახის ჯილდო. მთავარი პრიზი, წმინდა ნინოს ჯვარია, რომელიც ორია, ქალი ავტორისთვის და მამაკაცი ავტორისთვის. მეორე მედალიონია და მესამე არის მედალი. წელს კაცთა შორის მე მივიღე ეს პრიზი,ქალთა შორის ნინო მოდრეკილიძემ. მოწვეული ჟიური აფასებს გაგზავნილ ლექსებს. ასევე, ყოველწლიურად წმინდა ნინოს ჯვრით აჯილდოვებენ ქართული კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე 3 ადამიანს. წელს მაყვალა გონაშვილი(მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე), კახა ცაბაძე(კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე) და პაატა ბურჭულაძე დაჯილდოვდნენ. ეს კონკურსი საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მატარებელია, კარგად ვიცით, როგორია ქრისტიანობის როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და როგორი უნდა იყოს მომავალში, ჩვენ ამას პოეზიით უნდა წავადგეთ და მივეხმაროთ, რადგან პოეზია და მწერლობა ერის ქვეყნის იდენტობის შესანარჩუნებლად ყველაზე მთავარია. მნიშვნელოვანია, ქართველი ერი არ ასცდეს იმ სავალს,რომელზეც საუკუნეების განმავლობაში იდგა...

ვულოცავთ ბატონ მურადს ამ დიდი წარმატებას და გთავაზობთ გამარჯვებულ ლექსს:

ბეთლემი,
ბაგაში ვარსკვლავებს რა უნდათ?!
და მაინც,
ყველა ცა თითქოს აქ ანათებს,
ღვთისმშობელს,
ხელში რომ ნათელი ჩაუდგა,
ახლა აქ, ბეთლემში
რომ აფრქვევს ცა ნათელს
და ყრმაი იესო
ანგელოზთ დასს ესმენს,
ცას უმზერს, ვარსკვლავებს
უღიმის, განა თვლემს?!
დეკემბრის ღამეა
და სადღაც, ბაგიდან,
ყველა ცა, ყველა მზე
სხვაგავარად ანათებს!...

***

გოლგოთის გზაზე
უფენენ ეკლებს,
ეკალზე უფრო მწარეა ჯვარი,
არ წაფორხილდე,
რადგან ხარ მეკვლე
შენივე რწმენის
და უფლის კარიც
უნდა პირველმა
შეაღო ზესკნელს,
რადგან პირველმა
იტვირთე ჯვარი...

*

სისხლის ნაკვალევს
აწყდება ცრემლი,
შენ ცის ალმასის
იებს როს ალევ,
გოლგოთის ზეცა
ღრუბლების ცელით
მოსხიპავს და მზეს
გამოუსალმებს
იესოს,
ჯვარცმას
გოდების წნელით
მიეჭედე და
მიელურსმანე,
თითქოს სამყაროს
უდგახარ მცველად
იერუსალემ!..

პრემიერიდან პრემიერამდე

გასული კვირა ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ისევე იყო დატვირთული, როგორც სხვა დანარჩენი. თუმცა ხაშურის თეატრალური დასის პრემიერამ ყველა ბოლო მოვლენა გადაჩრდილა. მეოთხე წელია, რაც ათეული წლების წინ ჩაფერფლილი და კარგად

დავიწყებული თეატრალური ცხოვრება, ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მონდომებით, ფენიქსივით აღდგა და წარმატებით დგამს პირველ ნაბიჯებს. ყოველი პრემიერა დღესასწაულს ჰგავს და საზეიმოდ განგაწყობს. თურმე შეიძლება აქვე, შენს ქალაქში, ეზიარო ხელოვნებას. საინტერესოა ის, რომ არც ერთი სპექტაკლი, ჟანრობრივად ერთმანეთს არ ჰგავს. ბოლოს დადგმული ტრაგედიის შემდეგ, საოცარი ტრანსფორმაცია ვიხილეთ. ალექსანდრე ვამპილოვის კომედია „უფროსი ვაჟი" შედარებით მსუბუქ,დადებით ემოციებს იწვევს. თუმცა მხიარული კომედიის დადგმა არანაკლებ ძალისხმევას მოითხოვს რეჟისორისგან და მსახიობებისაგან, ვიდრე სევდიანი დრამა. ნიჭიერი და თავმდაბალი რეჟისორი გურამ კაპანაძე ეძებს ახალ ხერხებს, ზოგჯერ ნაცადს, კლასიკურს, რომ სპექტაკლი მაყურებელმა მიიღოს და გაითავისოს,როგორც ერთი ჩვეულებრივი სასწაული,რომლითაც ცხოვრება,მიუხედავად თავისი ამაოებისა, სავსეა. ამას ხელს უწყობს თეატრალური დასი. მსახიობების შესახებ არაერთხელ გვითქვამს, რომ გვაოცებენ ოსტატობით და გარდასახვის უნარით. ამჯერად კომიკურ როლებში ვიხილეთ: ანზორ გაჩეჩილაძე, ლია ცხვირაშვილი, გაბრო მახარაშვილი, ინგა მეტრეველი, ზურაბ სტეფნაძე, ელდარ გოგალაძე, მიხეილ გაჩეჩილაძე.

რაც შეეხება მუსიკალურ გაფორმებას (ფატი სადაღაშვილი), დეკორაციებს, კოსტიუმებს (ზურა სტეფნაძე, ელდარ გოგალაძე, ასისტენტი: ცირა ბალასანიძე), როგორც ყოველთვის, დახვეწილია, გემოვნებიანი და შერწყმულია სპექტაკლის იდეასა და შინაარსთან.

რა შეიძლება ვუსურვოთ თეატრს, თუ არა მაყურებლის აღიარება და დაფასება უდიდესი შრომისა და ენთუზიაზმის საზღაურად და სტიმული მომავალი პრემიერებისათვის.

მარიამ იზორია

მრავალმხრივი ტალანტით დაჯილდოებული შემოქმედის აღიარება

ჩვენი თანამოქალაქის, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული რეზო კოშკაძის ბოლო გატაცება უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე გატაცება. მისი არაჩვეულებრივი ტილოები,განსაკუთრებით პორტრეტები, რომლებიც დიდი ოსტატობითა და ფოტოგრაფიული სიზუსტითაა შესრულებული, გაოცებას და აღფრთოვანებას იწვევს. ვის არ შეხვდებით ამ გალერეაში: დავით ყიფიანს, სერგო ზაქარიაძეს, ნინო დურგლიშვილის, მეჰრიბან ალიევას, ნანი გაჩეჩილაძეს. თუმცა ბევრი პორტრეტი უკვე გაჩუქებულია და მხოლოდ ნაწილი გამოიფინა, ამ დღეებში, საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ბატონი რეზო მხატვართა კავშირის წევრი გახდა. მხატვარს მოწმობა უშუალოდ თავმჯდომარემ, ქალბატონმა ცისანა მჭედლიძემ გადასცა. გამოფენის ორგანიზებაში ბატონ რეზოს მხარდაჭერა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღმოუჩინა. გულთბილმა მასპინძლებმა-მხატვართა კავშირის წევრებმა - იზრუნეს რომ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა საზეიმო გარემოში აღნიშნულიყო. უამრავი თბილი სიტყვა და შეფასება გაისმა რეზო კოშკაძის მისამართით როგორც კოლეგებისგან, ისე ხელოვნებათმცოდნეებისგან. ბატონ რეზოს მხარს უმშვენებდნენ მისი მეგობრები: ისტორიკოსი თამაზ ლაცაბიძე, ახალგაზრდა მწერალი გიორგი დვალაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის და საბიბლიოთეკო გაერთიანების წარმომადგენლები,მომღერლები გოგიტა გოგიძე და ლევან ტაბატაძე. ეს უკანასკნელი, კონსერვატორიის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, აღმოჩენა იყო იქ მყოფი საზოგადოებისათვის. საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ცისანა მჭედლიძემ აღნიშნა, რომ დღეიდან საფუძველი ჩაეყრება ახალ ურთიერთობას მხატვართა კავშირსა და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის. ეს ურთიერთობა იქნება მეგობრული, საქმიანი და სასარგებლო. მანვე მხატვართა კავშირის მიერ გამოცემული წიგნი მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა საჩუქრად.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
[D]-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.